

## დაბადება

<b>1. საკონტაქტო ინფორმაცია</b>	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	შორენა წიკლაური
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	<a href="mailto:shtsiklauri@geostat.ge">shtsiklauri@geostat.ge</a>
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (601)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

<b>2. მეტამონაცემების განახლება</b>	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2022 წ. 30 მარტი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2022 წ. 30 მარტი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2022 წ. 30 მარტი

<b>3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა</b>	
<b>3.1. მონაცემების აღწერა</b>	
დაბადებულთა სტატისტიკა მოიცავს წლის განმავლობაში ცოცხლად დაბადებულთა და მკვდრადშობილთა რიცხოვნობას და შესაბამის მაჩვენებლებს (კოეფიციენტებს).	
<b>3.2. კლასიფიკაციის სისტემა</b>	
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკატორი.	
<b>3.3. სექტორის მოცვა</b>	
წლის განმავლობაში დაბადებულები. მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ ბავშვებს.	
<b>3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები</b>	
<p><b>ცოცხლად დაბადება</b> – ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევება ან ხელოვნურად გამოყვანა დედის ორგანიზმიდან, როდესაც პროდუქტი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა რომელიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა სხეულის შესაბამისი ნაწილების მოძრაობით. ყველა ასეთი პროდუქტი მიჩნეულია ცოცხლად დაბადებულად, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობისაა ორსულობა, ჭიპლარი გადაკვეთილია ან/და პლაცენტა მოცილებულია საშვილოსნოს კედელს.</p> <p><b>მკვდრადშობილი</b> – ნაყოფი, რომლის სიკვდილიც, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობის არის ორსულობა, წინ უსწრებს მის სრულ გამოძევებას ან გამოყვანას დედის ორგანიზმიდან, არ სუნთქავს ან არ ავლენს სიცოცხლის რაიმე სხვა ნიშანს, როგორცაა: გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა.</p> <p><b>სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას</b> – ბიჭებისა და გოგონების რიცხოვნობის თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის და უჩვენებს ყოველ 100 გოგონაზე რამდენი ბიჭი იბადება.</p> <p><b>შობადობის ზოგადი კოეფიციენტი</b> – გარკვეულ დროში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე.</p> <p><b>შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი</b> – გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა. გამოისახება პრომილებში (‰) და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას შესაბამისი ასაკის 1 000 ქალზე.</p> <p><b>შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი</b> – ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რიცხოვნობა. ეს კოეფიციენტი აჩვენებს</p>	

<p>საშუალოდ რამდენ ბავშვს გააჩნდა ქალი მთელი რეპროდუქციული პერიოდის (პირობითად 15-49 წლის ასაკში) განმავლობაში ყოველ ასაკში, შობადობის იმ წლის დონის შენარჩუნების პირობებში, რომლისთვისაც გაიანგარიშება მაჩვენებელი.</p> <p><b>მოზარდების შობადობის კოეფიციენტი</b> – 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა ამავე ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე.</p> <p><b>დედის საშუალო ასაკი</b> – ქალის საშუალო ასაკი ბავშვის გაჩენისას. განისაზღვრება როგორც საშუალო შეწონილი არითმეტიკული დედის თაობისა და მათ ბავშვებს შორის ინტერვალით.</p> <p><b>მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი</b> – ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებულ გოგონათა საშუალო რიცხოვნობა.</p> <p><b>მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი</b> – ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებულ გოგონათა საშუალო რიცხოვნობა, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგონას დაბადებისას.</p>
<p><b>3.5. სტატისტიკური ერთეული</b></p> <p>დაბადებული – ცოცხლად დაბადებული და მკვდრადშობილი.</p>
<p><b>3.6. სტატისტიკური პოპულაცია</b></p> <p>საქართველოში დაბადებულები და საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობებში რეგისტრირებული დაბადებული საქართველოს მოქალაქეები.</p>
<p><b>3.7. საანგარიშო არეალი</b></p> <p>მოიცავს მთელი ქვეყნის მონაცემებს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. მათ შორის რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების, საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკაციის შესაბამისად.</p>
<p><b>3.8. დროის მოცვა</b></p> <p>1940, 1950-1968 – ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;  1969 წლიდან – დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების, საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;  1969 წლიდან – დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით;  1965, 1970, 1975, 1980, 1985, 1989-2004 – ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით;  1965, 1970, 1975, 1980, 1985, 1989-2004 – ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რიგითობის მიხედვით;  1989-2004 – ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა თვეების მიხედვით;  1989-2004 – ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მშობელთა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით;  2005 წლიდან მონაცემები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით.</p>
<p><b>3.9. საბაზო პერიოდი</b></p> <p>-</p>

<p><b>4. ზომის ერთეული</b></p> <p>რიცხოვნობა, პრომილე (‰).</p>
--

<p><b>5. საანგარიშო პერიოდი</b></p> <p>კალენდარული წელი.</p>
--

<p><b>6. ინსტიტუციური მანდატი</b></p>
<p><b>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</b></p> <p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;  <a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a>  სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;  <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa</a>  საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.  <a href="https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf">https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</a></p>
<p><b>6.2. მონაცემთა გაზიარება</b></p> <p>• „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის № 262 დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქსტატი ყოველწლიურად უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მონაცემების მიწოდებას ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში;</p>

• მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის.

## 7. კონფიდენციალურობა

### 7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

- საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
  - კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.
  - კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.
  - კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.
- [https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis\\_kanoni.pdf](https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf)
- „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“  
<https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf>
- „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“  
<https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf>
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

### 7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

## 8. გამოქვეყნების პოლიტიკა

### 8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

### 8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

<https://www.geostat.ge/ka/calendar>

### 8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

## 9. გავრცელების სიხშირე

ნახევარწლიური (წინასწარი) და წლიური მონაცემები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.

## 10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

### 10.1. პრეს-რელიზები

პრეს-რელიზი წარმოადგენს ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ ოფიციალურ პუბლიკაციას, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულად წელიწადში ერთხელ ქართულ და ინგლისურ ენებზე:

<https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=9>

### 10.2. პუბლიკაციები

კრებულები „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ და „ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია:

<https://www.geostat.ge/ka/single-categories/114/mosakhleoba>

<b>10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა</b>
მონაცემები განთავსებულია საქსტატის საიტზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში: <a href="http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database">http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database</a>
<b>10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა</b>
-
<b>10.5. სხვა</b>
დემოგრაფიული პორტალი: <a href="http://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka">http://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka</a>
<b>10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე</b>
მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia</a>
<b>10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ</b>
-

<b>11. ხარისხის მართვა</b>
<b>11.1. ხარისხის უზრუნველყოფა</b>
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
<b>11.2. ხარისხის შეფასება</b>
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

<b>12. შესაბამისობა</b>
<b>12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები</b>
ძირითადი მომხმარებელია: სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აკადემიური წრეები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოქალაქეები. ძირითადად გამოიყენება ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის გასაშუქებლად ნაშრომების, თემების, ანალიზის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და სხვა მიზნებისთვის.
<b>12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება</b>
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/page/customer-service">https://www.geostat.ge/ka/page/customer-service</a>
<b>12.3. სისრულე</b>
ხელმისაწვდომია დაბადებულთა შესახებ შემდეგი მონაცემები: სქესი, დაბადების და რეგისტრაციის თარიღი და ადგილი, დაბადების რიგითობა, წონა, სიგრძე, დედის ორსულობის ვადა, დედის და მამის ასაკი, ქორწინებით მდგომარეობა, დედისა და მამის მოქალაქეობა. აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონის, თვითმმართველი ერთეულის და საქალაქო და სასოფლო დასახლებების დონეზე.

<b>13. სიზუსტე და სანდოობა</b>
<b>13.1. ზოგადი სიზუსტე</b>
-
<b>13.2. შერჩევითი ცდომილება</b>
-

<b>13.3. არაშერჩევითი ცდომილება</b>
-
<b>14. დროულობა და პუნქტუალურობა</b>
<b>14.1. დროულობა</b>
ნახევარწლიური (წინასწარი) მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 2.5 თვის შემდეგ, ხოლო წლიური (საბოლოო) მონაცემები – 3 თვის შემდეგ.
<b>14.2. პუნქტუალურობა</b>
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
<b>15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა</b>
<b>15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული</b>
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულებისთვის (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები).
<b>15.2. შესადარისობა – დროში</b>
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
<b>15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის</b>
-
<b>15.4. თანამიმდევრულობა – შიდა</b>
-
<b>16. დანახარჯები და დატვირთვა</b>
დაბადებულთა მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროების მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.
<b>17. მონაცემთა გადასინჯვა</b>
<b>17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა</b>
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf">https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf</a>
<b>17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა</b>
აღწერათა შორის პერიოდში დაბადებულთა მონაცემების გადაანგარიშება ხდება აღწერის შედეგებსა და შესაბამისი წლების დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა. 2018 წელს ხელმისაწვდომი გახდა 1994-2014 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებული შედეგები. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/single-archive/3199">https://www.geostat.ge/ka/single-archive/3199</a>
<b>18. სტატისტიკური დამუშავება</b>
<b>18.1. პირველადი მონაცემები</b>
სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან საქსტატი იღებს დაბადებულების შესახებ სამედიცინო ცნობების ელექტრონულ ბაზას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან საქსტატი იღებს რეგისტრირებულ დაბადებულთა ელექტრონულ ბაზას.
<b>18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე</b>
კვარტალურად.
<b>18.3. მონაცემთა შეგროვება</b>
წლის განმავლობაში დემოგრაფიული შემთხვევების შეგროვება ხდება სრულად.
<b>18.4. მონაცემთა კონტროლი</b>

მონაცემების გამოქვეყნებამდე ხორციელდება მონაცემების დუბლებისგან გაწმენდა და ლოგიკური კონტროლი. ასევე ხორციელდება სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროების ერთმანეთთან დაკავშირება.

**18.5. მონაცემთა გაანგარიშება**

მონაცემთა გაწმენდის და დაზუსტების შემდეგ ხდება დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება.

**18.6. მოსწორება**

-

**19. კომენტარი**

-